

საქმე

ქ.04/01.13  
08.01.13

**მაგთიკომი**




**MAGTICOM**

შპს მაგთიკომი  
საქართველო 0186 თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №5

MAGTICOM LTD  
5 A. Politkovskaya str. Tbilisi 0186 Georgia

ტელ/Тel: (995 32) 217 17 17; (995 32) 217 17 77; ფაქსი /Fax (995 32) 2171170; (995 32) 2171171 E-mail: office@magticom.ge www.magticom.ge

კ.01/478.13



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს,

ქალბატონ ეკატერინე ფოფხაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2013 წლის 11 დეკემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი ადამიანის მიმოწერა და საუბრები, მათ შორის განხორციელებული სატელეფონო თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, ხელშეუხებელია, ხოლო აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილებით. შესაბამისად შპს „მაგთიკომი“ არ გახლავთ უფლებამოსილი პასუხი გაგცეთ ისეთ კითხვებზე, რომელიც გამომდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობიდან და უკავშირდება კონსტიტუციით ადამიანისთვის დაცულ ამ ერთ ერთ ძირითად უფლებას.

რაც შეეხება პასუხს თქვენს შეკითხვაზე შპს „მაგთიკომის“ წინასწარი თანხმობის და ინფორმირების გარეშე კომპანიის ქსელთან შესაბამისი ორგანოების წვდომის თაობაზე: ვფიქრობთ, მოცემულ კითხვაზე პასუხის გამცემ ერთადერთ კომპეტენტურ და ინფორმირებულ მხარეს შეიძლება წარმოადგენდნენ ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები.

პტივისცემით,

ანდრია ზოდელავა

გენერალური დირექტორის მოადგილე